

ହୋତାର କବିତା

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №30, მარტი, 2015 წელი

„დენგბავ ყა ვაწიმბს ხაფორაველებებს“

„მითხარ შენღობა
და ჩემს მხარესა
ოდეს მოჰყვები ამბებს მწარესა...
თქვი, რომ წარწერა
იხილე ღოღბე —
ძველიც კი ფიქრობს
საჭიროულობა.“

ლევილის ქართველთა სასაფლაოს ბინადარი კოკი დადიანის საფლავის ეს სულისშემძ-ვრელი ეპიტაფია ამ სასაფლაოზე განსვენებულ თითოეულ ქართველს და მათ შორის არზაყან (დიმიტრი) ემუხვარსაც ეკუთვნის. წლეულს არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის (1919-1921წ.) დაპადებიდან 135 წელი შესრულდება. ამასთან დაკავშირებით ლევილის ქართველთა სასაფლაოზე არზაყან ემუხვარის მემორიალური დაფა გაიხსნა. დიდი აფხაზი და ქართველი (როგორც მას უწოდებდნენ) მამულიშვილისადმი პატივის მის-აგებად საქართველოდან იქ საგანგებოდ ჩავიდა დელეგაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე აფხაზეთის ა/რ უმალესი საძჭროს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია და არზაყან ემუხვარის შთამომავალი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომელი ნატო მარშანია. გთავაზობთ ამ მოვლენის ამსახველ ნატო მარშანიას რეპორტაჟს.



1939 წლის 26 მარტი. პარიზი, ლევილიკ. სასაფლაოზე მარტის სუსტიანი ქარი ქრის. არზაყან გეშვეგარის დალილობ სული სევდანი ლიმილით უკრთხება. ზუგიურ საქართველოს.

მთელი ქართული ემიგრაცია ბოლო გზაზე აცილებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პირველ თავმჯდომარეს, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს დიმიტრი (არზაყან) ემუხვარს.

„არზაყინ ემუშვარის სახით საქართველოს ემიგრაციის დაკარგა კეთილშობილი რაინდი და ნიჭიერი თანამემამულე. ის ერთნაირი ერთგულებით ემსახურებოდა საერთოდ საქართველოს და კერძოდ აფხაზეთს, რომელთა ინტერესები და კეთილდღეობა მის შეგნებაში იყვნენ ერთმანითისაგან ანუკოორონბა და ანუფავსებილნი“.

2015 წლის 22 მარტი. პარიზი. ჩვენი დელეგაცია პარიზში არზაყან ემუხვარის დაბადებიდან 135 წლისთვის აღსანიშნავად ჩადის. დელეგაციას ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვაბტანგ ყოლბაძა, დელეგაციის შემადგენლობაში ვართ აგრეთვე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამაზარია და მე, თქვენი მონა-მორჩილი.

გაგრძელება მე-4 გვ.

აფხაზები ენის ღასაცავად და განსავითაჩებრად



ეროვნულ ბიბლიოთეკაში
აფხაზური კუთხე გაიხსნა


63-3-4

ՀՅԱՅՍՏՈՎԸ ՁԵՅԱՅՆԴԱ!

სფეროული გრა ხარაგაურში

33 5

ԱՅՆՈՒԹՅՈՒՆ Ի ՀԵՐԱ
Կ Ա Խ Ա Վ Ա Մ Ա Ր Ա Կ Ա Ր Ա Կ Ա Ր Ա Կ Ա Ր




33,8-9

მწერალი, რომელიც
მხოლოდ თავის თავს
ჰგავს



83,10



Տեղական բարեկամության
առաջնորդության շնորհած լուսաւորական գործությունների մասին



მოუთხრობს, ამასთანავე, ლიტერატორთა ნაწარმოებებს და მხატვართა ნამუშევრებს სთავაზობს. წიგნის შემდგენელ-რედაქტორია ნატო კორსანტია, რომელიც უძლვებოდ ასევე წიგნის პრეზენტაციას.

აფხაზური ენის ღასაცავად და განსავითახებრად

ესტ პონა

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუ-
ციითა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის
კონსტიტუციით „დაცული“ სახელმწიფო ენა
აფხაზური რეალურად არც აფხაზეთის და
არც საქართველოს დანარჩენ ტრიტორიაზეა
სათანადოდ დაცული. მიუხედავად იმისა,
რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
დღემდე არსებობს კავკასიური ენებისა და
მათ შორის აფხაზური ენის კვლევის ცენტრი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნ-
ქციონირებს აფხაზური ენისა და კულტურის
ინსტიტუტი, აფხაზურ ენისა და ლიტერატუ-
რის საპაკალავრო და სამაგისტრო პროგრამე-
ბი, აფხაზური ენა მანიქ გაქრობის საფრთხის
წინაშე დგას, რადგან ამ ენაზე მოსაუბრეთა
რიცხვი სულ უფრო მცირდება.

ფაქტია, რომ დღემდე აფხაზური ენის სწავლება არ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პრიორიტეტს. შესაბამისად, არ არსებობს აფხაზური ენის სწავლის სრულყოფილი პროგრამა, არ არის შემუშავებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ენის რეალურ სწავლებაზე ორიენტირებული აფხაზური ენის სახელმძღვანელოები, არც აფხაზური ენის შესწავლის მსურველთა რიცხვია დიდი, რადგან არა აქვთ მოტივაცია, არა აქვთ იმის გარანტია, რომ ამ ენის სპეციალისტი დასაქმდება, მიიღებს შესაბამის ანაზღაურებას და ეს სპეციალობა გამოიადგება ცხოვრებაში. ამდენად, აფხაზური ენის სპეციალისტებიც თითზე ჩამოსათვლელად შემორჩენენ, ძირითადად ენათმეცნიერები და ლინგვისტები, რომლებიც ამ ენის მეცნიერული შესწავლით არიან დაინტერესებული, — ეს ყველაფერი ითქვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე, რომელზეც აფხაზური ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები იხილებოდა.

ეს შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით გაიმართა. მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლების, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ შორის ცხადია, იყვნენ აფხაზები.

შეხვედრაზე აფხაზური ენის სწავლებასთან
დაკავშირებულ თოთქმის ყველა პრობლემას,
მათ შორის როგორც სახელმძღვანელოების,
სასანავლო პროგრამების შექმნის, ისე სპეციალ-
ისტების მოძიებასა და მომზადების საკითხებს,
შექმნა საუბარი. დაისვა კონკრეტული წინა-
დადებები და ცალკეულ საკითხებზე გაიყო აზ-
რებიც.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის
სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, რომ აფ-
ხაზეთის საჯარო სკოლებში უკვე არსებული
რესურსებით დაინტენსიურო ენის სწავლება. ამისთვის მზადყოფნა აფხაზეთის ა/რ გა-
ნათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი
ჯაიძემა დაადასტურო: — აფხაზურ ენას, სამ-
წავლებოდ, აფხაზეთშიც არ ექცევა სათანადო
ყურადღება. იქ, ფაქტობრივად, საკონტაქტო
ენა რესუსლია. მიმაჩრინა, რომ აფხაზური ენა
ყველაზე უნდა იცოდეს. ჩვენი სამინისტროს ინი-
ციალივაა, რომ აფხაზეთის საჯარო სკოლებში

შემოვილოთ აფხაზური ენის სწავლება.
როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და ნამყავნმა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მანანა ქაჩახიანა განაცხადა: — აფხაზური ენა თავად აფხაზეთშიც უკვე ბევრამ აღარ იცის და მის განვითარებაზე არავინ ზრუნვას. უკვე წლებია, რაც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო აფხაზური ენის მსარდაჭერის პროგრამას ახორციელებს. ამ პროგრამაზე მუშაობისას გავითვალისწინეთ

აფხაზოლოგების აზრიც. შეუტავდა აფხაზური ენის სწავლების ორი დონე. 2014 წელს გამოიცა მეორე დონის დისკი. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა აფხაზოლოგი თეომურაძე გვანცელაძე. უკვე ორი წელით ჩვენი სამინისტრო აფხაზური ენის სპეციალობის რამდენიმე სტუდენტს აფინანსებს. ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ ახალგაზრდებში არ არის აფხაზური ენის შესწავლის მოტივაცია, რასაც სხვადასხვა მიზეზი აქვს.

აფხაზური ენის სწავლებისა და მეცნიერ-

ული კვლევის უკვე არსებულ რესურსებსა და პრობლემებზე სოცუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორმა თემურაზ გვარაცელა-

ძეგ ისაუბრა. მან აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილების (ციფრული ვერსია (დასკის სახით) და აფხაზური ენის აქამდე შემუშავებული სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა წარუდგინა საზოგადოებას (წიგნები ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში იყო გამოფენილი) და განაცხადა: – აფხაზური ენის სწავლება უნდა დაინერგოს როგორც ჩვენს საჯარო, ისე ოკუპაციებული ზონის სკოლებში. იქ არსებული აფხაზური ენის სახელმძღვანელო არის აბსოლუტურად პოლიტიზებული. ამიტომ პირველ რიგში უნდა შეიქმნას არაპოლიტიზებული, მეთოდოლოგიურად გამართული, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული სახელმძღვანელოები. არანაკლებ

რეგულორმა სერგო ვარდისანიძემ შეხვედრის ინიციატორებსა და მონაწილეებს სრული მხ-არდაჭერა აღუთქა და განაცხადა: – ქართული უნივერსიტეტი მზადაა თავისი რესურსებით ჩაერთოს აფხაზურ ენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარეობაში და მიიღოს მონაწილეობა აფხაზურ ენის სახელმძღვანელოს შექმნაში. ჩვენ იუპირებული ზონიდან ჩამოგვყავს მასნავლებლები და მოსწავლეები. ორჯერ უკვე ჩავუტარეთ მათ ზოგადი სახის ტრენინგი. ასევე ვთავაზობთ ბატონ თეიმურაზს, შეარჩიოს მაგისტრანტი ან დოქტორანტი, ვინც აფხაზური ენის საკითხებზე იმუშავებს და ჩვენ მას ყველანაირ შედავათ გაუზუნეთ. აქვე დავგენ იმასაც, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებლის

სწავლები

აფხაზუთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის
მიერალებობის შემსრულებელმა ვახტაგბ ყოლ-
ბიათ შეკრებაზე გამოითქმული მისაზრებების
შეკვერების შემდეგ კიდევ უფრო განავრცო
პრობლემა და აღნიშნა: – სახელმწიფო ენის
შესახებ კანონში მყავიოდ უნდა განისაზღვროს
აფხაზური ენის დაცვის საკითხი. ეს აუცილე-
ბელია აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენის
თვალსაზრისითაც. წერ დავილებით ნდობის
ხიდის აღდგენის გზაზე. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა
ვაკეთოთ. მომდევნო სასწავლო წლიდან აფხა-
ზეთის რამდენიმე საჯარო სკოლაში დავინიჭებთ
აფხაზური ენის სხვავებას უკვე არსებული
რესურსით. ასევე, საჭიროა აფხაზუთის მთავ-
რობამ და უმაღლესმა საბჭომ შევქმნათ აფ-
ხაზური ენის შესხავლის მოტივაცია და ჩვენს
სტრუქტურებში აფხაზური ენის მცოდნები
დავასაქმოთ.

აფუაზეთის მთავრობის ინიციატივას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა კონკრეტული წინადადებები შესთავაზა შეხვედრის მონაცილეებს, კერძოდ, მან თქვა: – შეხვედრაზე დაისვა აფხაზური ენის ფორმალური და არაფორმალური გზით სწავლების საკითხი. ორივე მიდგომა უნდა გამოვიყენოთ. სახელმძღვანელობის შექმნისას გვჭირდება აფხაზური ენის მცოდნები. ასევე სწავლების ორი დონე უნდა გადამუშავდეს. ჩვენი სამინისტრო იზრუნებს იმაზე, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლას ექნება აფხაზური ენის არჩევის საშუალება. ამისთვის დაგვჭირდება კანონი, სახელმძღვანელო და პედაგოგები. ყველა უნივერსიტეტის შევთავაზებთ აფხაზური ენის სწავლების 60-კრედიტიან სქემას. აფხაზური ენის სწავლება მასნავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაშიც იქნება ჩადებული. ჩვენი მხრიდან ეს ინიციატივები სრულდა იქნება მმ-



ერთიანობითა და ძალისხმევით აფხაზური ენის
სახელმძღვანელოს უმაღლეს დონეზე გამოცე-
მია. შეიძლობა

ఆస ఐగ్వెంపొయిత.
సస్యాలు రైగ్ క్రమంలో ఇంచని ఆజ్ఞాధిక్రమ సభ్యుడ్రేణ-
త్రయోదిశ దాఖిల్కుర్చుశ్రేష్ఠిలూ డా మిథిష్టాపి తెరండ-
ల్లుమాచ్ డాస్కో డా సాజుసార్క స్క్రాంప్లేషి ఆఫ్ బాంచురి
ఎన్లో తెంపుల్లార్కించ్ అప్పిల్ లో నీచుపాత్రింపుత గామ్రాంప్ డా.
మిసో ఆచరిత, ఆప్చిల్ గ్లోబ్ లోని స్క్రాంప్లేషి ఆఫ్ బాంచ్-
యోల్ ప్లేట్ లోని ల్యాంగ్ అప్పిల్ లో వ్యాప్పార్ లోని

თის ისტორიის სხვლების გაძლიერებაც.
ისტორიკოსის, პროფესიონალ თოთა უორდანისა
განცხადებით - დღეს მსოფლიოში ენობრივი
ომები მიმდინარეობს. პოლიტიკაში აქტიურად
შემოიჭრა ენა. თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი იყო პირველი, სადაც აფხაზური ენის
კურსა დამიტრი გულაძი წაიკითხა. აფხაზური
ენის გამართულ კურსს კითხულობდა სიმონ ჯა-
ნაშია. სავსებოთ შესაძლებელია ქართული ენისა
და ლიტერატურის სპეციალისტებს აფხაზური

ენის სპეციალური კურსი წარმოიდგინა და აფ-
საზოგადო ენის სპეციალისტიც ჩამოყალიბდა.
მაგისტრატურაში ამ მიმართულებით
სწავლის გაგრძელების უფლებით.

შეხვედრაზე გამოსულთა მოსაზრებები გაიზიარა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავძმ და თქვა: - მსოფლიოში ეთნოდივერსიტეტის წყარო ენობრივი პოლიტიკა გახდა. ქართული ენაც კი მაღლევადი ენების რიცხვშია. ამიტომ მესმისია აფხაზური ენის გულშემატკიცვრების. მე არ ვიცი აფხაზური ენა და ეს ჩემი დროი ნაკლია. მიმაჩნია, რომ პირველ ეტაპზე აფხაზეთის 13 საჯარო სკოლაში მაინც უნდა დაინერგოს აფხაზური ენის

არდაჭერილი. 2011-2016 წლის სასწავლო გეგმაში უკვე დევს აფხაზური ენის ერთობლივი სტანდარტი. ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია და გადამუშავება.

შესაბამისად, გადამუშავდება ყველა ენის და მათ შორის აფხაზური ენის სტანდარტიც. აფხაზური ენის სტანდარტი უნდა გახდეს ორდონიანი. პირველი დონე იქნება დამწყებთათვის, ვინც საერთოდ არ იცის ენა და მეორე დონე იქნება მათთვის, ვინც უკვე იცის ეს ენა. ამის პარალელურად უნდა მომზადდეს აფხაზური ენის სახელმძღვანელოები, რომელიც იქნება ეროვნული სასახლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევის საუკეთესო რესურსი. ამ ეჭაპზე, მოქმედ სტანდარტთან შესაბამისობაში გამოცდების ეროვნულ ცენტრს მომზადებული აქვს ტესტები აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში და უნარებში. აქვთ აღვნიშნავ იმასაც, რომ ამჟამად არავითარი ბარიერი არ არსებობს, ნებისმიერ სკოლას აქვს თავისუფალი არჩევანის უჯლება და შეუძლია დაწყოს აფხაზური ენის სწავლება. მართალია, სახელმძღვანელოს პროდომა დგას, მაგრამ სასახლო პროგრამის მომზადება შეუძლია მასწავლებელსაც, თუკი ის პროცესით.

მომავალი შეხვედრის კონკურეტული დრო
არ დაუტანავთ, თუმცა საკითხის აქტუალობი-
და გამომდინარე, აფხაზების განათლებისა და
კულტურის სამინისტრო მასე ისევ მოუხდობს
აფხაზური ენის სწავლებით დაინტერესებულ
პირებს უკვე გადადგმული და გადასადგმელი
ნაბიჯების შესაჯერებლად.

სფერობენ გლეხი ბაზარულში

ნატო პოლისარიზი

„გვახსოვდეს აფხაზთი!“ – იყო დრო, როცა ეს ფრაზა გვეთაკილებოდა.
„გვახსოვდეს და მეტი არაო?“ – ვამ-ბობდით, უფრო მეტიც, ვაპროტესტებ-დით. წლებმა, როგორც იცის, ხოლმე, ამაშიც შეიტანა კორექტივა: ახლა ეს სიტყვებიც, მასთან დაკავშირდული ემოციაც მოგვანატროს ლამის.

„გვახსოვდეს აფხაზეთი!“ – ძალუშად
გაისმა ახლავან ჩხერიმელას ხეობაში,
დაბა სარაგაულში. და გაისმა, რათა
ეს სიტყვები მოუღმა საჯაროველომ,
მისმა ყველა კუთხებში გაიგონოს და
აიტაცოს. „გვახსოვდეს აფხაზეთი!“
ქალაქიდან – ქალაქს, სოფლიდან
სოფელს გადაწვდეს. ცეცხლი
შეუცნოთ ჩათვლემილ ხსოვნას და
აფხაზეთი ისევ პრობლემათა სათავეში
მოვაჟიოთ. უფროისებმა გავიხსე-
ნოთ ყველაფერი, რაც ვიცით და
გვახსოვს აფხაზეთზე. პატარებმა კი
გულისყრით მოისმინონ, ამასთანავე
უფრო ღრმად გაიცნონ აფხაზეთის
ისტორია, აფხაზეთის კულტურული
მემკვიდრეობა, გააცნობიერონ რა
განძი წაგარივეს და რა ვიღონოთ, რა
მოვიმოქმედოთ ყველამ ერთად, რომ
როგორმე დავიბრუნოთ აფხაზეთი და
მასთან ერთად აფხაზები.

საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის დღის დაწესებას რეგიონებში. პროექტის მხარდაჭერები და ორგანოზატორები იყვნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, აფხაზეთის მთავრობის ნდობის აღდგენისა და შეკრიბის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ხარაგაულის კულტურული მუზეუმი, აფხაზეთის მთავრობის სამინისტრო, ა/რ უმალლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კუმალ გამახარიამ დაფარა მღელვა-რება და ალნიშნა, რომ აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი გარანტი საქვეყ-ნო საქმეების გარშემო გაერთიანებაა და დასძინა: - ეს განწყობა იგრძნობა ხარაგაულში და ეს განწყობა უნდა მოედოს მთელ საქართველოს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრი და ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა. ამ შეხვედრის მოსამზადებლად დიდი შრომა გასწიეს შპს „კინოცენტრი „აფ-ხაზეთის“ თანამშრომლებმა: ლეილა ოორიამ, ლეილა ბალბაიამ და მედეა ზუბაძამ.

„გვახსოვდეს აფხაზეთი!“ –
სწორედ ამ ბანერითა და საკუთარი
შემოქმედებით დასვდა აფხაზეთის
დღის მონაცილე სტუმარ-მასპინძელს
ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა.
სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნა-
ძემ დამსწრეთ თავიდანვე მოუთხრო
მათი სკოლისა და აფხაზეთის N1
საჯარო სკოლის დამეგობრობაზე,
აფხაზეთის სკოლის ხარაგაულში და
ხარაგაულის სკოლის ზუგდიდში სტ-
უმრობაზე, გაიხსენა ის დღე, როცა
ისინი ერთად ენგურის ხილთან მივიღ-
ნენ და აფხაზეთისკენ სიმბოლურად
მშვიდობის მტრედები გაუსვეს. მან
ერთიანობის მნიშვნელობასაც გაუსვა
ხაზი და თქვა, რომ ხარაგაულებე-
საც ძალიან სტუკივათ აფხაზეთი.

სარაგაულის N2 საჯარო სკოლის ეზოში შეერტილთა წინაშე აფხაზეთხე, სამშობლოზე სიმღერებისა და ცეკვა „აფხაზურის“ შესრულების, ლექსების რაკითხვის შემდეგ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბერთ თქვა: - სიმართლე გითხრათ, ძალიან აღლევებულება ვართ აյ შესრულებულ ყველა პატიოტულ სიმოწინეს, თუ თავის აქტის კონტენტის

ლერასა და ლექსს განსაკუთრებული ქულერადობს და პათოსი ჰქონდა. ჩვენ აქ აფხაზეთისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ვკრძნობთ, რაც უდაოდ იმ ძიქტბს დამსახურებაა, რომლებმაც ყველაზე ცირიფასი - სიცოცხლე შენირეს სამშობლოს, რა-მეთუ ხარაგაულელებისთვისაც აფ-

თამარ ვეფხვაძის, აფხაზეთის პროფესიული გაერთიანების თაგვებ-ჯდომარის თქმით, ის ხარაგაულში მასპინძლადაც გრძნობდა თავს და სტურრადაც, რადგან ხარაგაულში დაბადებულ-გაზრდილი და ხარაგა-ულის N2 საჯარო სკოლის კურს-დამთავრებული აქ ახლა ჩამოვადა



საზეთი სამშობლოა და მათოვისაც
ისეთივე ტკივილიანია იგი, როგორც
ჩვენთვის, აფხაზეთის მცირდოთავის.
აფხაზეთში დაღუპული 21 ვაჟკაცი და
სამაზაბლოში დაღუპული 1 ვაჟკაცი
ჩვენს შორის გაბმული ის კავშირია,
რომელიც არასოდეს გაწყვეტა. ჩვენს
დღევანდელ შეხვედრას აფხაზები აკ-
ლია, მაგრამ გიჯვერა, დადგება დრო

და მათთან ერთად ვიწნებით.
ვერც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი
საპქონს თავმჯდომარის მითვილეულ
ჯემალ გამახარიშ დაფარა მღლევა-
რება და ალნიშნა, რომ აფხაზეთის და-
ბრუნების ერთ-ერთი გარანტი საქევყ-
ნო საქმეების გარშემო გაერთიანებაა
და დასძინა: — ეს განწყობა იგრძნობა
ხარაგაულში და ეს განწყობა უნდა
მოედოს მთელ საქართველოს.

აფეთქების ა/რ განათლებისა
და კულტურის მინისტრმა დოიტრი-
ჯაიანმა ხარაგაულის N2 საჯარო
სკოლის მასწავლებლებისა და მო-
სწავლების ზუგდიდში სტუმრობის
დეტალები გაიხსენა, მაშინ იქ სტ-
უმრობით გაგვახარეს, ახლა აქ
მასპინძლობით გვხიბლავენო და
დასძინა: - მოელი ხარაგაულის მო-
სახლეობა აიგნებიდან და ფანჯრე-
ბიდან სიყვარულით გვესალმება,

კუთხეულისა და მაღლივი განაკვეთის მიზანით გადასახადობა მაღლივი გადასახადობა გადასახადობა სარაგაულის N2 საჯარო სკოლის მთელ პედოლოგტიცს, მის დირექტორს ვალერი გოგიძეს: - კვრაც ისე არ გაივლის ბატონი ვალერი გოგიძე მეომოვგეხმიანოს და არ გვიყითხოს, რა გვიჭირს და რა გვილხინს, დახმარება არ შემოვგვთავაზოს. დიდ მაღლიობა იმისთვის, რომ მარტო არ ვგრძნობთ თავს. ღმერთმა ქნას, აფხაზეთში დაგვაპრუნოს და იქ გვემასპინძლოს ოქუმონთვის წელგამართულებს.

თამარ ვეფხვაძის, აფხაზეთის
პროგუმუშინული გაერთიანების თაგე-
ჯდომარის თქმით, ის ხარაგაულში
მასპინძლადაც გრძნობდა თავს და
სტუმრადაც, რადგან ხარაგაულში
დაბადებულ-გაზრდილი და ხარაგა-
ულის N2 საჯარო სკოლის კურს-
დამთავრებული აქ ახლა ჩამოვიდა

როგორც გაღელების რძალი. თავისი
სიტყვის ბოლოს მან თქვა: – მე რო-
გორც სტუმრიც და მასპინძლიც
მადლობას ვეუბნები ამ დღისთვის
ხარაგაულელებს და ვნატრობ, მაღლ
თქვენ ყოფილიყავით ჩვენი სტუმრები
აფხაზეთში.

შერიგების საკითხებში აფხაზები თის ა/რ მინისტრის აპარატის მინისტრის მოადგილემ ბელა კოპალიანშა განაცხადა: - დღეს ჩვენ ყველანი ერთად, ვევედრებით მღერთს აფხაზები თის ტრაგედიის დასრულებას. დიდი მაღლობა ხარაგაულს, მის ხელმძღვანელობას, რომ მხარი დაუჭირეს პროექტს: „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის საქართველოს რეგიონებში“. გეტატ ვით, რომ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, აფხაზების უმაღლეს საბჭოსთან, სხვა უწყებებითან ერთად ვგეგმავთ ამ პროექტის გაშლას მთელი საქართველოს მასშტაბით. ამდენად, ჩვენი შემდეგი ვიზიტი იქნება აჭარაში, კახეთში, სამეგრელოში... მოვივლით მთელ საქართველოს. რათა ახალგაზრდებში პატრიოტულობის სულისკვეთება გავაღიძოთ და მათ აფხაზეთი არ დავავინყოთ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა
აღნიშნა: — აფხაზეთი ჩვენთვის მხ-
ოლოდ მინა არ არის, ის ჩვენთვის
მოიაზრებს იქ მცხოვრებ აფხაზებ-
საც, რომლებიც იმ მინასთან ერთად
უნდა დაკიბრონთ. დედასამშობლოს,
მის ნაწილს აფხაზეთს როცა დას-
ჭირდა, ხარაგაულელი ვაჟუაცები არც
დაფიქრებულან, ისე ჩაგნენ, სამწეულ-
აროდ, თავიდანვე განწირულ ბრძოლა-
ში. ხარაგაულელები თავიანთ გულსა
და გონებაში არასოდეს დათმობენ აფ-
ხაზეთს. ვფიქრობ, რომ მათი დაღვრი-
ლი სისხლი უკვალიდ არ ჩავლის,
დღვენდელი დღვეც იქნება აფხაზეთი
სადმი შინაგანი განწყობის აბალებსა-
დასაწყისი, რაც გვათქმევინებს, რომ
დაიწყო ახალი ფორმით ბრძოლა აფხ-
აზეთის დაბრუნებისთვის. მოელ საქა-
რთველოს ვუსურვებ ამას და მინდა
მოელ საქართველოს გავაგონო: აფ-
ხაზეთისის ბრძოლა არ დასრულებ-
ბულა. გვჯეროდეს მისი დაბრუნების
სამართლებრივი მინისტრი და მისი
მინისტრი და მისი მინისტრი და
მისი მინისტრი და მისი მინისტრი

სტუმრებს აფხაზეთში დალუპულო
ხარაგაულელ მებრძოლებსა და მათ
გმირობაზე მოუთხრო. აქვე იყო
გამოფენილი მათი პირადი ნივთები
შესვედრას აფხაზეთში დალუპულოთ
მშობლები ესწრებოდნენ. მათ მუზეუ
მის დირექტორმა ნინო დიდიქევ და
ვაჟაპანგ ყოლბაიამ გმირი შეიღები
აღზდისათვის მადლობა გადაუხადე
და საჩუქრები გადასცეს.


A group of men in dark suits are gathered outdoors, placing a large, colorful floral wreath on a stone monument. The wreath is composed of various flowers, including red gerberas and white carnations, and is wrapped in shiny gold foil. In the background, several other people are standing, some holding small flags or banners. The setting appears to be a cemetery or a place of remembrance.

A photograph showing two men in the foreground. The man on the left, wearing a dark suit and tie, is handing a white envelope to the man on the right, who is wearing a blue velvet jacket over a light blue shirt. In the background, several other men are standing, some wearing traditional black and white uniforms. There are framed pictures on the wall.

მხარეთმცოდნების მუზეუმში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხები აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატს შორის. დღის ბოლოს აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა თვალს კარიბჭედ აღიარებულ მიწა-წყალზე იმ მზიან დღეს საოცარი სიცივარული-სა და ერთიანობის განცდა სუფევდა, რაც როგორც აღნიშნავდნენ, არის სწორედ აფხაზეთის დაპრუნების გარანტი. ის დიდი თავყრილობაც ამ მონაცემებული განცდის გამოც იყო ასე გამორჩეულა.

როგორც კურებულის „აფ-
ხაზეთი, ლიტერატურა და
ხელოვნება“, შესავალში
ვეჭვობდით, მის მიღმა მარ-
თლობა დარჩა არაერთი შემო-
ქმედი აფხაზეთის წიაღიძან.
ნიკოლოზ შამუგია ერთი იმათ-
განია, რომელიც მომღერალ
მიში ელიაგას დარად, მიიჩ-
ნევს, რომ აფხაზეთის საზოგა-
დოების ნაწილია. „მისარია,
რომ თქვენი ნაწილი ვარ“, –
ასე მიშო ელიაგამ კურებულის
პრეზენტაციაზე მიმართა დარ-
ბაზში შეკრებილთ.
საჯულისხმოა, რომ სწორედ

საგულისხმოა, როდ სხორედ
ენგურს გამოლმა დაბადე-
ბული მიშოსა და ნიკას თაობა
ფიქრობს ასე. თაობა, რომელსაც
აფხაზეთი არ უნახავს, მაგრამ
აფხაზეთში დაბრუნებაზე ოც-
ნებობს.



ლინკი:

დავიბადე 1984 წლის 15 ივნისს ქალაქ თბილისში გაღელების ოჯახში. დედაჩემი, დალი მორგოშია, ქალშია დაბადებული, ხოლო მამაჩემი, მურთაზ შამუგია – გალის რაიონის სოფელ ჭუბურეხინჯში. გალი ძალიან მიყვარს და თავს გაღელად ისევე მივიჩნევ, როგორც თბილისელად. არ ვიცი სკოლაში წასვლამდე რამდენი ზაფხული ან ეგებ ზამთარიც გამიტარებია გალში, ბებიებ-ბაბუებთან. ვიცი, რომ ფეხი სწორებ ჭუბურეხინჯში, ჩემი სახლის დიდ ეზოში აფიდები: ოდის კიბებიდან შიდა ჭიშკრამდე მივედი მარტო და მარტოვე მივპრუნდი უკან. აფხაზეთის ომამდე ყოველ ზაფხულს ჩავდიოდით გალში.

თავდაპირველად, 1990-1995 წლებში, გსნავლობდი თბილისის მეორე კლასიურ გიმნაზიაში. 1995 წლიდან 2000 წლამდე – თბილისის 97-ე საშუალო სკოლაში. ბოლოს კი 2000-2001 წლებში ქალაქ თბილისში არსებული გალის სალამო სკოლის მეთერთმეტეცელასელი ვიყავი. საშუალო განათლების დიპლომიც სწორედ ამ სკოლისა მაქსის. სკოლის შემდეგ კლასიური ფილოლოგიის (ქველერძნულ-რომაული სიძეველეთმცოდნების) სპეციალობით გსნავლობდი ჯერ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა), შემდეგ კი პიზის სკოლა ნორმალუ სუპერიორუში (დოქტორანტურა). მთარგმნელობა ბაკალავრიატობისას დავიწყე. პირველად ვთარგმნე ლექსები უოლტ უიტმენის „ბალასი ფოთლებიდან“. თარგმანი 2007 წელს უზრნააღ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა. ამას მოჰყევა თარგმანები ახალი ბერძნული, ძველი ბერძნული და იტალიური ენებიდან: ოორდოს იოანეს „ქემალის სახლი“, ალექსანდრე პაპადიამანდისის „ოცნება ტალღაზე“, ანდონის სამარკისის, „ერთ დამეტ“, ნიკოს გაცოლისის ციკლიდან „ამორ-ლოსი“ და „რაინდა და სიკვდილი“, ჩეზარე პავეზეს „ტალღის ქაფი“ (ნანარმოებიდნ „დაბლოგი ლევანდან“), გაბრიელე ფანინკიოს „წვიმა ფიჭვნარში“ და „ფიზიოლოგური სალამ“ და სხვ. რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა უზრნალებში – „ჩვენი მწერლობა“ და „ლიტერატურული პალიტრა“.

მსურს ცალკე გამოვყო ჰესიოდეს „თეოგონიის“ სრული თარგმანი, რომელიც ბაკურ სულაკაურის გამოწერილობას დახმარდა, „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ მეჩვიდმეტე ტომში შენიშვნებითა და ბოლოსიტყვაობით.

„ოქტოცენტრალი“ 318. მოგორუ გიბრიალი დ' ახუნკას შიაგონების ხელი

მეგობრის, თავისი რომანებისა
და ტრაგედიების პირველი ფრანგი
მთარგმნელის, უორჯ ერელისადმი
1896 წელს პიზიდან მიწერილ ერთ
ნერილს გაბრიელე დ'ანუნციო ასე
ასრულებს: „დროებით! დიდებული
დღეა. ახლა სან როსსორეს პარკში
მივდივან, იქაურ ტყეებში, რათა
აქლემებს ვუყურო, ხეთა ვარჯებით
დატვირთულებს, შემდეგ კი ტირე-
ნიის ზღვას სანაპიროს ვერვევი, წყ-
ალმცენარეებით დაფარულს, სადაც
პერსი შელის ახალგაზრდულ სულს
უყვარდა ხეტიალი. რამდენიმე
კვირის შემდეგ პოეზიის მდინარეები
გადმოილვრება ჩემს სულში“.

ტოსკანიდან შორს, პესკარაში

დაბადებულ გაბრიელე დ'ანუნციოს (1863-1938) ხიბლავდა ტოსკანის მოქრძალებული, როგორც თვითონ უწოდა, „ოქრიცურვილი“ ქალაქი პიზა და მისი შემოგარენი. მწერლის ცხოვრების გარკვეული პერიოდი, ისევე როგორც პერსი ბიშე შეღლისა და კიდევ მრავალი იტალიელი თუ არაიტალიელი პოეტისა, ამ ქალაქს უკავშირდება. აქაური არე-მიდამო უცნაური შთაგონების წყარო აღ-მოჩენილყო მრავალი მწერლისათ-ვის და უკვე 1896 წელს, გაბრიელე დ'ანუნციოს პიზაში მოსვლისთვის, არაერთი პოეტის პიზურ შემოქ-მედებით პერიოდზე შეიძლებოდა ლაპარაკი: ახსოვდა ქალაქს 1827-

1828 წლების ზამთარი, ჯაკომი
ლეოპარდი რომ ეწვია და ერთ ვი
წრო, დღემდე ტურისტებისთვისაც
კი შეუმჩნეველ ქარიაზე მდგებარ
სახლში დაბინავებულს ხუთი წლით
დადუშებული პოეზიის ქარი კვ
ლავ ააუღორებინა: მძაფრად გაულ
ვივა სიყათნვილის მოგორებან
და იტალიური პოეზიის შედევრი
„სილვიასდმი“ შეათხვევინა
ახსოვდა ქალაქს არა მარტო ის
მის ქუჩებში ცხენოთ რომ ჯირი
თობდა ან გარეუბნად შელის რომ
ეჯიბრებოდა დამბაჩის სროლაში
ბაირონი, არა მარტო ის, თუ რო
გორ აწყდებოდნენ მისი მაცხოვრე
ბლები თავიანთი ბინის ფანჯრებს

როცა ქუჩაში, ანდრე მორუას სიტყვით რომ ვთქვათ, ინგლისელებშემა გამოწინდებოდა მთელი თავისი სისამხეცეთით, — ეტლებით, ცხენებით, ძალებით, მაიმუნებით ფარშევანგებით, ივეოსებით არამედ ისიც, თუ როგორ თხზავდა სხვა ლექსებთან ერთად „დღუანის“ ქებათ არნოს პირას მდებარე ლანცფრანკის სასახლეში და ბინავებული ლორდი. ინგლისები პოეტს იტალიაში სპეციალურანაყიდი ბულლოგი დაეყრნებინ თავისი ბინის კართან, რათა არავი დაერღვია მისთვის შემოქმედებითი მყუდროება. ახსოვდა ქალაქ პერსი შელი ხშირად რომ აკითხ

ავდა მახლობლად სან როსსო-
რეს ზღვისპირა პარკის ფიჭვნარს
„ფიქრო გასართველად“...

ამ ფიქტურში განმარტოება
გამორჩეულად უყვარდა გაპრი-
ელე დანუნციოსაც. შთაგონებას,
რომელსაც შეეძლო პოზიტის მდი-
ნარები გადმოეღვარა მის სულში,
არა მხოლოდ უორუ ერელისადმი ზე-
მოხსენებული წერილის მინერიდან
რამდენიმე კვირის, არამედ წლების
შემდეგაც იღებდა ძესკარელი პოეტი.
დასტურად თუნდაც ნინამდებარე
ლექსი გამოდგება, რომელიც პოეტმა
1902 წლის ივლის-აგვისტოში შეთხზა.

ნიკოლოზ შამუგია

ବ୍ୟାକାର ଓ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିଚୟ

ჩემად!
ტყის ზღუბლზე
ყურს არ სწვდება შენი სიტყვები;
მხოლოდ ახალი,
უწვეულო სიტყვები აღწევს ჩემამდე,
შორს, ტყის სიღრმეში
წვეთები და ფოთლები რომ წარმოთქვამენ

უყრი მიუვდე!
მიმოფანტული ღრუბლებიდან ეშვება თქორი.
აწვიმთ ზღვის პირად
მზით გახუნებულ იალლუნებს,
აწვიმთ ტანდამსუდარ,
წინვოვან ფიჭვებს,
აწვიმთ ღვთაებრივ მირტებსა თუ
მკრთამარ ასლურცელებს,
ყვავილდახუჭულთ,
აწვიმთ შებუთქვილ ღვიათ,
კენკრასურნელოვანთ.
და ჩვენც,
თითქოსდა ამ ფიჭვნარს შერწყმულთ,
გვანვიმს სახეზე,
შიშველ ხელებზე,
თხელ სამოსზე.
აწვიმს ჩვენს ფიქრებს,
წვიმითგანმენდილ სულიდან ახლადდაბადებ
და ლამაზ ზღლაპარს,
გუშინ – შენ,
დღეს კი მე რომ მიცრუა იმედი,
არმიონი!

ეგსმის?
ეულადშტენილ მწვანე ფოთლებს
ეცემა წვიმა,
და ხეთა ვარჯებს,
ხშირსა თუ მეჩერს,
აშრიალებს,
ზოგს მძლავრად, ზოგს ნაზად.
ყური დაუგდე!
ცა ტირის და ჭრიჭინობელები
ჭრიჭნიოთ პასუხობბან.

მათ არც სამხრეთის ქარის მოთქმა,
არც მოქუფრული ცა არ აშინებთ.
ფიჭვი უცნაურ ხმას გამოსცემს,
მირტიც - თავისებურს,
და ასფურცელაც - მხოლოდ მისთვის სახასიათოს
თითქოს სხვადასხვა საკრავიაო,

რომელთაც ნვიძის მირიადი თითი ა
 ჩვენც, ჩაძირულებს
 ფიჭვნარის სულის საუფლოში,
 სხეულში ხეთა ცხოვრება გვატანს:
 შენ გშვენის სახე,
 ფოთლის დარად,
 წვიმით მთვრალი და სველი,
 თმას კი
 სასხასა ასფურცელათა
 სურნელი გიმშვენებს,
 მიწიერო ქმილებავ,
 შენ, ერმილი რომ გჭვად სახელად!

მიაყურადე! დაუგდე ყური!
მოფარფატე ჭრიჭინობელათა ხმაშენყობილი სიმღერა
თანდათან ყუჩდება
წვიმის მსწვილ წვეთთა ტირილის ფონზე,
თუმცა ახლა სხვა,
მჭახე სიმღერა იბადება
ნოტიო მიწიდან,
ტყის ბურუსიანი შორეთიდან.
ჭრიჭინა ყუჩდება, ცხრება,
ძაბუნდება, ქრება.
ერთადერთი ნოტი თრთის კვლავაც,
ზენამონევს, ცახცახებს, ქრება.
ზღვის შეუილი არ სწვდება სმენას.
ისმის მხოლოდ შრიალა ვარჯებს
როგორ ეღვრება ვერცხლისფერი, განმწმენდი წვიმა,
და თქორის თქარუნი
წინვებშებუთქვილ ტოტებს როგორ ამღერებს
ხან მძლავრად, ხან ნაზად.
ყური დაუგდე!
ჰაერის ასული,
ჭრიჭინობილა ვალეტულა. ვაწაბულა.

სამაგიეროდ ჭანჭრობის ასული,
ბაყაყი მღერის
შორეულ ბურუსში,
ვინ იცის სად, ვინ იცის სად!
და აწვმთ მაგ შენს წამწამებს,
ერმიონე!

ანვიმზ მაგ შენს შავ წამნამებს,
თითქოს ტირიო, მართლა, ოღონდ სიხარულით,
თეთრი კი არ იყო, არამედ მცენარის დარად მწვანე,
ხის ქერძიდან დაბადებული.
და ჩვენში ისადგურებს
სურნელოვანი, ცინცხალი სიცოცხლე,
მექრდევეშ გული ედარება ხელუხლებ ატამს,
ქუთუთოებევეშ თვალები ედრებიან
ბალახებში დამდგარ კამკამა გუბეებს,
ხოლო კილები
ჰევანან ფიფქისფერ ნუშებს.
გზას ნელა მივიკვლევთ შამბანართა შორის,
სადაც ბუჩქები ერთურთს ეხვევიან
ან ერთურთს ეყრებიან,
(სად ქეინინ, – ეს მწვანე ძალა, –
კოჭებში გვედება,
მუხლებში გვეხლართება,)
ვინ იცის საით, ვინ იცის საით!
და ჩვენ,
თითქოსდა ამ ფიჭვნარს შერწყმულთ,
გვანვემს სახეზე,
შიშველ ხელებზე,
თხელ სამოსზე.
ანვიმს ჩვენს ფიქრებს,
წვიმითგანნებნდილ სულიდან ახლადდაბადებულთ,
და ლამაზ ზღაპარს,
გუშინ – მე,
დღეს კი შენ რომ გიცრუა იმედი,
ერმიონე!

იტალიურიდან თარგმნა
ნიკოლოზ შამუგიაძე.

გალის ხაონში მღებაზე
სამ ეკლესიას აუდუჩეცი
მემკვიდრეობის ძეგლის სტაცის
მიენიჭა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ გალის რაიონის სოფლებში: ჩხორთოლში, ოქუმსა და ლუმურიში მდებარე ეკლესიებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიაინიჭა.

ჩხორთოლში, ოქუმისა და ლუმურიშის ეკლესიებზე სააღრიცხვა ბარათები აფხაზეთს /ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა, გალის რესურსცენტრის მიერ მინდებული მასალების საფუძველზე მოამზადა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ძეგლის სტატუსის მისამიჭებლად წარადგინა.

ნარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ გალის მუნიციპალტეტის სოფლებში: ჩხორთოლში, ოქუმსა და ლუმურიში მდებარე ეკლესიებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მიანიჭა (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ძეგლის სტატუსის სხდომა №18, 27 იანვარი, 2015 წ.).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსაში ამ რაიონში არსებული კულტურული ფასეულობები მანამდე შეტანილი არ ყოფილა. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა იგრევ სტატუსი გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლების შექციის სხდომა №18, 27 იანვარი, 2015 წ).

ԿԱՌԵՎՈՒՄ ՃՐԴՅԱՆԸՆԴՏԵ



ლუმურიშის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

„ოქუმისნებლის – „ოქუმწარის“ მარჯვენა ნაბირზე, მცირე ხეობის სიღრმეში, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე, მდებარეობს ბაზილიკური სტილის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელიც აგებულია მე-11 საუკუნის | ნახევარში საგდუხტ „დეოფალთა დეოფალის“ მიერ. „დეოფალთ დეოფალი საგდუხტი“ უნდა იყოს ნიანია რაჭის ერისთავის ასული და ოდიშის ერისთავთ ერისთავის მეუღლე, რომელიც ტაძრის ქტიტორად გვევლინება. ამას მოწმობს ეკლესის ეზოში ნაბოვნი სამშენებლო ხასიათის ასომთავრული წარწერა: „ლმერთო, შეინწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ტაძრისა მაშნებელი დეოფალთ-დეოფალი საგდუხტ. ნიანიას ასული. ამენ“

არქეოლოგიურ სამუშაოებს ღუმურიში საფუძველი ჩაეყარა 1986 წლის გაზაფხულზე, რაც განაპირობა ძეგლიდან მომდინარე,



მოყვარულ მხარეთმცოდნე ნოდარ შონიას
მიერ 1955 წელს აქ აღმოჩენილმა, XI საუ-
კუნით დათარიღდებულმა კირქვის ფილამ,
რომელზეც ამიგვეთილია ასომთავრული
წარწერა: „ლმერთო, შეინყალე ორთავე ცხოვ-
რებასა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დე-
ოფალთ-დეოფალი საგდუხტ, ნიანიას ასული,
აქნა“

აარნერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სპეციალურ სამეცნიერო ორგანიზაციურაში რეაგირება არ მოჰყოლია. მკვლევართა მსჯელობის საგანი არც საგდებეტ „დეოფალთ-დეოფლოს“ ვინაობის დადგენა გამხდარა. თითა და აუზოლი იყო სონქამის მუზეუმში.

საგარაუდოდ, საგდეტის ტიტულის (დე-ოფიციალის) გვერდით, მამის სახელის მოხსენიება იმის მიმანიშნებელია, რომ მისი ჩამომავლობა მამის მხრიდან სოციალურად მეფის რანგისაა. შესაძლოა ნიანია მეფის გვარის ჩამომავალია. როგორც ცნობილია, ნიანია ქვაბულის ძემ, თავი ისახელა რანის სულთან ფადლონის ქართლიდან განდევნაშა. 1073 წელს ნიანია ქვაბულის ძე ივანე ლიპარიტის ძისა და სვან-თა ერისთავ ვარდაზნან ერთად გადაუდგა გიორგი მეორეს, დაიპყრო ქუთაისი და ხელში

სოფელი ჩხორთოლი

სოფელი ჩხორთოლი მდებარეობს აფ-
საზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გალის
რაიონში, გალის ჩრდილო-დასავლეთით 20-25
კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან
200 მეტრში, აფსაზეთის ბორცვიან მთისწი-
ნეთში, მდინარე ჩხორთოლის (ოჯუმის აუზი)
ნაპირას. 1971-1977 წლებში შავიზღვისპარე-
თის ქვის ხანის ექსპედიციამ აქ ნიკო ბერ-
ძენიშვილის ხელმძღვანელობით აღმოჩენა
ნასახლარი, რომელიც გამოირჩევა არქეოლო-
გიური მასალის სიმრავლით: თიხატებენილი
იატაკით, სამურნებელი ორმოქბით, კაჟის და
რიყის ქვის იარაღებით-საფხეცებით, საჭრისე-
ბით, სახვრეტებით და სხვ. ქელი განვითა-
რებული ნეოლითის ხანას, ძვ. წ. VII-VI ათას-
წლეულებს მიეკუთხენება. მასალები დაცულია
საქროველოს ერთნაულ მუზეუმში. სოფლის
სახელწოდება „ჩხორთოლი“, ადგილობრივი მო-
სახლეობაში შემორჩენილი თქმულების მიხედ-
ვით, მომდინარეობს მეგრული სიტყვების-
გან „ჩხორო“ და თოლი“, რაც ნიშნავს „ცხრა
თვალს“ და მიუთითებს სოფლის ჩრდილო-
ეთით მდებარე ცხრა თახანი ციხესიმაგრის
გადმონაშაზეზე.

ჩხორთოლის ჩრდილო-დასავლეთით,
ცენტრიდან 5 კმ-ის მანძილზე, მდ. ოხოჯეს
შენაკად ჯუსუს სიღრმეში, მდინარის მარ-
ცხენა მსარეზე, დამრეცი ფერდის მცირე
გავაკებაზე მდებარეობს ეკლესია. იგი ცუნ-
ქციონირებდა XVI საუკუნეებდე, შავიზღვი-
სპირეთში თურქების გაბატონებამდე.

ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია გარდამავალი ხანის ძეგლია. როგორც ამ დროის ძეგლებს შეეფერებათ, იგი მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას. ეს დარბაზული ეკლესია გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ძიებებით მიგნებულ თავისებურ ნიშნებს ატარებს და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ნიშანდობლივი თემის მიმართ შემოქმედებითი მიდგომისა და გადამუშავების შედეგს წარმოადგენს. იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ეკლესიასთან, ზუსტადაა ჩანარილი ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საერთო ხაზში და გამოხატავს ერთიან შემოქმედებით ძიებასა და მიმართულებას, რითაც სათანადო ადგილს იკავებს ქართული კულტურის, კერძოდ, საკულტო არქიტექტურის გავრცელების დასადგენად აღმოსავლეთიდან დასავლეთი-საკენ.

A photograph of a stone wall made of large, irregular stones. A dense patch of green ivy covers the left side of the wall, with its vines and leaves spreading across the stones. On the right side, there is a small, bright yellow flower growing from one of the crevices between the stones. The sky above is clear and blue. In the foreground, a dark, curved metal railing is visible on the left, and some dry grass and fallen leaves are on the ground at the bottom.

ତେବୁଣ୍ଡିତିକୁର ଗାୟରତାନ୍ଧେବାସ ନିନ ଜୁସନ୍ତର୍ବଦ୍ଧା
କୁଳତ୍ତିର୍ମୁଲି ଏବଂ କୁଳେସିଯୁରା ଗର୍ତ୍ତିବାନ୍ତନ୍ଦା.
ହିନୋରତାନ୍ଧିଲିସ ଗର୍ତ୍ତିବାନ୍ତି ଏବଂକାଥୁଲି କୁଳୀ-
ଶିଳ IX-X ଶାୟୁଜ୍ଞବେଦିଲି ମିଜନିଲି ମେବାରିଲି ବ୍ୟ-
ରନମଧ୍ୟରେବେଦିଲି ତିପିତ୍ତରି ନିମ୍ନଶିଳା.
ହିନୋରତାନ୍ଧିଲିସ କୁଳେସିଲି ନାନ୍ଦଗର୍ଜ୍ୟେ ବ୍ୟେ-
ଦିତ, ଦୁର୍ଭିକ୍ଷିତା ଏବଂ କୁଳଶେତିବାତାଗ୍ରୀଲି ଦାମ-
କାଶିବାତ୍ତେବ୍ୟେଲି ଗ୍ରାମପାଲି କୁଳାଲ-ଦାରିତା ପିଯା
ଦାଫାରାନ୍ତୁଲି. ଅମିତ ଆଶ୍ଵିନ୍ଦ୍ରିୟ ପିଲା ଗାୟରମୋହିଦା,
ରନ୍ଧ ଦେଖିଲି, ରନ୍ଧେଲିପି ଅର୍ଚତ୍ତିର ଲେଖ ଶିରିଶାବ
ଦାଶବ୍ଲେଦ୍ୟୁଲି ଶୁନ୍ଦରିତିଫାନ, ମୁକ୍ତିପାଦିତା
ତାପାଲିତାକ୍ଷେତ୍ରିଲି ମିଳିବି ପିଯା ଦାରିଦ୍ରେଖିନିଲା. ଦେ-
ଖିଲ୍ଦି ମୁକ୍ତାରାନ୍ତେଯୁଲି ସାବାରିଲି ମର୍ବିଶିଲି ଶେର-
ଛେଗ ଗାମନିନିଦା ମିଳିଲି ଶେରାପିଠିର ଶେମର-
ରିହିନିଲି କୁଳେସିଲି ଶେରିଲି ଶେମରମତ୍ତାରଗ୍ରଜ୍ଜ୍ଵଳି
ନିର୍ମିଲି କୁର୍ବାଗୁର୍ରାତ୍ରିକିଲି ମିଶରାଲାଦ ନାନ୍ଦପନ୍ଦି
କ୍ଷେତ୍ରି ଗାଲାବନ୍ଦିଲି ଫ୍ରାଙ୍କମେନ୍ଟ୍ରେବି, ଗାଲାବନ୍ଦିଲି ଅଲ-
ମିଲାଶବ୍ଦେତ କ୍ରେଡିଲାତା ମିଲାକ୍ଲାପ୍ରଦ୍ୟୁଲିଲା କୁଳୀ-
ଶିଳ ହିରାନ୍ଦିଲା କ୍ରେଡିଲି ନାନ୍ଦଗର୍ଜ୍ୟେ ଏବଂ ଗାଲା-
ବନ୍ଦିଲି ଗାର୍ଜେତ, ହିରାନ୍ଦିଲା-ଦାଶବ୍ଲେତାତ, କ୍ଷେତ୍ରି
ଶିଳାରମାଣାର ମନ୍ଦିରିଲିତିର ନାଗେବି ନାତ୍କାଜୁତବା
କ୍ରମକ୍ଷେତ୍ରିଲି ନାମତାବି.



ეკლესიის ნაგვრევზე ასეულ წლო-
ბით მცენარეთა პოპისა და დანგრეული
კედლებისაგან მიღებული 1 მ-დან 3,5 მ-მდე
სიმძლავრის „ფენის“ მოხსნის შემდევ გამოვ-
ლინდა ოთხკუთხა ნაგებობის მიწისქვეშ მო-
ქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედლების
ფრაგმენტები. გამოიკვეთა სამნანილანი
ეკლესიის გეგმა, რომლის ცენტრალური
სათავეს (12X8 მ) გარედან სწორკუთხა
მოყვანილობისაა, ხოლო აღმოსავლეთ
ნანილში საკმაოდ ძლიერი მხრებით, ფარ-
თო, ნალისებური აბსიდითაა გამოყოფილი.
კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძ-
ლვრული ნიშნებით ჩხორთოლის დარბაზუ-
ლი ეკლესია ანალოგიებს პოულობს ილორის
(XI ს.), ლაშენდარის (X-XII ს.). და აჩანუას
ეკლესიებთან. შეუა საუკუნეების ანალოგი-
ური კომპოზიციების მქონე დარბაზული
ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში
გვხვდება. ჩხორთოლის ეკლესის სიგანის
თანაფარდობა სიმაღლესთან (შემორჩენი-
ლი ჩრდილო კედლის სიმაღლის მიხედვით)
გვხარძინებს სივრცის მშვიდ და პარმო-
ნი გადასახვას.



ჩეორთოლის ეკლესია

ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ 2015 წლის 20-22 მარტის გამართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2000-2001 ნ.წ. დაკადებულ სპორტსმენთა შორის.

ტურნირი ქ. თბილისის საჭიდაო კომპლექსში ჩატარდა 2000-2001 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის თორმეტ წლით კატეგორიაში: 29 კგ, 32 კგ, 35 კგ, 38 კგ, 42 კგ, 47 კგ, 53 კგ 59 კგ, 66 კგ, 74 კგ, 85 კგ, 85 + კგ.

სულ რეგისტრაცია გაიარა 340 სპორტსმენმა, რომელთა შორის იყვნენ ოცდართი გუნდი საქართველოს რეგიონებიდან და სომხეთის ერთი ნაკრები გუნდი.

აფხაზეთის ნაკრები გუნდი წარმოადგინა ქ. თბილისში – წევნითის საქიდაო კომპლექსის ბაზაზე არსებულმა გუნდმა 14 სპორტსმენის სახით.

ტურნირის შედეგების მიხედვით აფხაზეთიდან დევნილ სპორტსმენთა შორის ექვსმა დაიკავა მეორე სარიჩო ადგილი და ერთმა მესამე საპრიზო ადგილი.

საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით, მედლითა და თასით.

გამარჯვებულ სპორტსმენებს შესაბამისი ჯილდოები გადასცეს ტურნირის საპატიო სტუმრებმა და მასპინძელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის შედეგების მიხედვით აფხაზეთიდან დევნილ სპორტსმენთა შორის ექვსმა დაიკავა მეორე აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დომიტრ ჯავახიძე, მინისტრის მოადგილე როლანდ ნიურაძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა კოტალ ბენდელიანმა.



ვანედებმა: საქართველოს ეროვნული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმა, აფხაზეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გია ყურაშვილმა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დომიტრ ჯავახიძე, მინისტრის მოადგილე როლანდ ნიურაძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა კოტალ ბენდელიანმა.

ტურნირის ჩატარების პარტნიორი რეგისტრაციების შორის იყვნენ: აფხაზეთის ჭიდაობის ფედერაცია, თბილისის სპორტული კომპლექსი

„მართვე“, შპს „დეველოპინგი“. ადგილები სპორტსმენთა შორის ასე გადანაილდა:

29 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – იგორ აფციაური, ოლიმპ. მომზ. ცენტრი; II ადგილი – ბერენ ბარსონაძე, ამბროლაური; III ადგილი – ლუკა ბერული, აფხაზეთი; IV ადგილი – ნიკა ზაქაშვილი, საჩერებე; V ადგილი – გორგი გეგელაშვილი, გორი.

32 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – დავით გომინიშვილი, ხაშური; II ადგილი – ნუგზარ ბერიძე, აფხაზეთი; III ადგილი – გუგუკაშვილი, ონი; IV ადგილი – მაგამედ მაგამედოვი, ყვარელი. V ადგილი – გიორგი გოგიჩაშვილი; VI ადგილი – თბილისის იუნივერსიტეტის ბაზაზები, ბათუმი.

38 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – იგორ აფციაური, ოლიმპ. მომზ. ცენტრი; II ადგილი – ბერენ ბარსონაძე, ამბროლაური; III ადგილი – ლუკა ბერული, აფხაზეთი; IV ადგილი – ნიკა ზაქაშვილი, საჩერებე; V ადგილი – გორგი გეგელაშვილი, გორი.

59 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – დავით ქაქალაშვილი, ყვარელი; II ადგილი – ლუკა ნიურიანი, აფხაზეთი; III ადგილი – გიორგი დოლმაზაშვილი, ყვარელი; IV ადგილი – გიორგი გურაშვილი, ბათუმი.

66 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – გიგი ქურული, საჩერებე; II ადგილი – გორგი გოგიჩაშვილი, გორი.

74 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – ედი ბულულაშვილი, კასპი; II ადგილი – ბაჩუკი თოდეუ, ზუგდიდი;

III ადგილი – სოლომონ მანაშვილი, „მართვე“-თბილისი; IV ადგილი – გიორგი მუზაშვილი, გორი.

85 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – ვიტარ ლერუაშვილი, რუსთავი; II ადგილი – ნუკრი წილისანი, ოლიმპ. მომზ. ცენტრი; III ადგილი – ანდრია გურუშა, აფხაზეთი;

III ადგილი – სანდრო, სარდანაშვილი, ამბროლაური; IV ადგილი – ილია ჯებაშვილი, ამბროლაური.

100 კგ. წლინით კატეგორიაში (85 + კგ.):

I ადგილი – ვიტარ ლობუანიძე, რიგაძე; II ადგილი – ბარუაშვილი, ამბროლაური; III ადგილი – რამი გამიტონიძე, ამბროლაური; IV ადგილი – ნინო მინიშვილი, მინიშვილი, მინიშვილი.

V ადგილი – ელია ბერიძე, ქობულეთი.

53 კგ. წლინით კატეგორიაში:

I ადგილი – დავით გომინიშვილი, ხაშური; II ადგილი – ნუგზარ ბერიძე, აფხაზეთი;

III ადგილი – გუგუკაშვილი, გორი; IV ადგილი – გიორგი გოგიჩაშვილი, გორი; V ადგილი – თბილისის იუნივერსიტეტის ბაზაზები, ბათუმი.



აფხაზეთის რეგიონალური შესარჩევი ტურნირი ქალაქ ქუთაისი

„აფხაზეთი“ და „მზიური“ ფუტბალში „საქართველოს თასი - 2015“-ის ფინალურ ეტაპზე იასპარებენ



საქართველოს ფუტბალის ასოციაციის მოწვევის მიზანით, აფხაზეთის აგრძობილი რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის მხრიდან ფერებითა და თანადგომით, პირველად ჩატარდა აფხაზეთის თასის გათამაშება ფუტბალში.

ფინალურ ასპარეზობაში ასმც „აფხაზეთის“ გუნდმა 8:2 დაამარცხა გალის „მზიური“ და გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა. ასმც „აფხაზეთი“ გარდამავალი თასი დაჯილდოვდა, ტურნირის საუკეთესო მოთამშედვების ასმც „აფხაზეთის“ გამარჯვებულები და პრიზიორები თასებით, მედლებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

აფხაზეთის მოზარდებმა თხილამურები მოირგეს

ამას წინათ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ქ. თბილისის საბურთალოს გამეობის მიერ დაბა ბერთიაში ჩატარებულ სათხილამურო ტურნირში მონაწილეობას.

საქართველოს 2015 წლის ჩემპიონატის საგზურები რეგიონაში მოპოვეს: ლიზი ლემონჯავამ, რეზი შამათავამ, მარიამ მალანიამ, გიორგი სანიკიძემ, ანა ჭანიამ, საბა სახელაშვილმა, თეონა ჭეშიამ.

ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები თასებით, მედლებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ტურნირს, ადგილობრივი სკოლების წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე როლანდ ნიურაძემ, ამავე სამსახურის საუკეთესო მოთამაშების გოგიჩაშვილი, გორი მერის მინისტრი მოირგენდა.

ტურნირის, ადგილობრივი სკოლების წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მინისტრის მოადგილე როლანდ ნიურაძემ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს გოგიჩაშვილის ტიტულის კი შესაბამისი პრიზი აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ვიტა-

ლი ბერიძემ, ამავე სამსახურის საუკეთესო მედლების გადაეცა.

ამასთანვე, ქ. თბილისის საბურთალოს გამეობასა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი თასებით დაჯილდოვდნენ, N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს კი სამასხოვრო მედლები გადაეცათ.

ამასთანვე, ქ. თბილისის საბურთალოს გამეობასა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი თასებით დაჯილდოვდნენ.

ამასთანვე, ქ. თბილისის საბურთალოს გამეობასა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი თასებით დაჯილდოვდნენ.

ამასთანვე, ქ. თბილისის საბურთალოს გამეობასა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი თასებით დაჯილდოვდნენ.

ამასთანვე, ქ. თბილი

აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრები ინდივიდუალობით გამოირჩევა

ამბობს მხატვარი რადიშ თორილია

ესაზღვრული გაფილია

საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენი დარბაზ „ფიროსმანში“ აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების ყოველწლიური საგაზაფხულო გამოფენა გაიხსნა. გამოფენა აფხაზეთის აკტორობიური რესპუბლიკის მხატვართა კავშირის ორგანიზებული იყო და აფხაზეთიდან დევნილი სხვადასხვა თაობის 24 მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილი განსხვავებული უანრის 50-მდე ნამუშევრი იყო წარმოდგენილი. ითქვა, რომ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა მომავალში ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ გალერებში მოეწყობა.

მხატვრების საგაზაფხულო გამოფენას ესაზღვრონენ ვახტანგ ყოლბაძი, აფხაზეთის აკტორობიური რესპუბლიკის მთავრობისა თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, გოგი ფაცაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,



განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე, ზაალ სარაჯიშვილი, დაბატორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პრეველი მოადგილე, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წარმომადგენლები.

აფხაზეთის მხატვართა საგაზაფხულო გამოფენისა და ზოგადად აფხაზეთის მხატვრებისადმი თავისი დამოკიდებულება მოგვიანებით, კრებულის „აფხაზეთი, ლიტერატურა და ხელოვნება“ პრეზენტაციაზე, აფხაზეთის მხატვრების წარდგენისას ცნობილმა მხატვარმა რადიშ თორდიამ ასე გამოხატა:

— ვერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა მე საქართველოს მხატვართა კავშირში ვმუშაობდი, აფხაზეთის მხატვართა კავშირს ვკურინებდი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამდენად 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული აფხაზეთის მხატვრების ყველა გამოფენა მასშივავს. 60-70-იანი წლები ეს ის პერიოდია, როცა აფხაზური ფერწერის სკოლა მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია და მაინც, ამ პერიოდის მათი ნამუშევრებიც



ინდივიდუალიზმით გამოირჩევა. ასეა დღესაც, მაშინ როდესაც მსოფლიოს მოქმალა გლობალიზაცია, რომელსაც ინდივიდუალიზმის განვიტრალება სურს. ინდივიდუალობა კი, მოგეხსენებით ყველაზე დიდი მონაპოვარია ხელოვნებისა, განსაკუთრებული ჰქონდათ მხატვრობისა. აფხაზეთის მხატვრებს ჰქონდათ მნაგონი ჭიდილი და როცა მათი გამოფენები იმართებოდა, აქ, თბილისში თუ სხვაგან, ყოველთვის ჰქონდათ თვიანთი სახე და აქვთ დღესაც. ამას კარგად დანახავდა დამთევალიერებელი, რომელიც მათ წლევანდელ საგაზაფხულო გამოფენაზე მივიდოდა. ნახავდა, როგორ ვითარდებიან ისინი. ომის შემდეგ, დევნილობიში, პირდაპირ მინდა ვთქვა, გაჭირვებაში რომ შენი სახე, კი არ დაკარგო განავითარო, ჩანს მანამარაში, ფერებში.

აქვე მინდა ერთი რამ ვთქვა, დღეს აფხაზეთის მხატვრებს აქვთ თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა, რისოვსაც არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ და დიმიტრი ჯაიანს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი წერილი და დიდ მეცნიერებარს.

ჩემი წინადაღება მსოფლიოს ქვეყნებში — პოლანდიში, შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვაგან გაფანტული აფხაზეთის მხატვრები მოგვინით და ამ გალერეაში მათი გამოფენები გავმართოთ.



საქართველოს კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების გზაზე

ქ. ბათუმში გაიმართა სამუშაო - საორგანიზაციო შეხვედრა სახელწოდებით - „საქართველოს კულტურის სტრატეგია - კულტურა 2025“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგელე ლევან ხარატიშვილი, სახელმწიფო რწმუნებულ-გაუბრნატორები, თვითმმართველი ქალაქების ხელმძღვანელები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე როლანდ ნიუხარაძე და ამავე სამინისტროს კულტურულ ფასულობათა დაცვის სამასაურის უფროსი ირაკლი გელენგავა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში შედგა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორნლიანი საქმიანობის ანგარიშის, სამომავლო გეგმისისა და „კულტურა 2025“ სტრატეგიის შემუშავების გზამკელევის პრეზენტაცია. ამავე დროს გაიმართა დისკუსიები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე და სხვა აქტუალურ თემებზე. შეხვედრას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე უძღვებოდა.

შეხვედრის უმთავრესი მიზანი იყო ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისთვის კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება. ამ თვალსაზრისით აფხაზეთის საკითხებთან მიმართებაში დაისახა სამიმავლო თანამშრომლობის გეგმები, კერძოდ, მხატვარი შეთანხმდნენ, რომ შესაბამისი სამუშაო შეხვედრა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში, საერაუდოდ 24 პარილს გაიმართობა. შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება საქართველოს კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას.



სალოე თორილი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებულ ვ. არქანიას არტ-გალერეაში ნორჩ-მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა-კონკურსის გაიმართა.

გამოფენა-კონკურსში ააიდ ქ. თბილისში მერიის ხელოვნების სამინისტროს მინისტრი ქაიანმა საჩუქრად შსოფლიო ბესტსელერად აღიარებული წიგნი - ერთსტ გომბრინის „ხელოვნების ამბავი“ გადასცა.

უკურის წევრთა მონონება და დამსახურება ასევე ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა, რისოვსაც არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ და დიმიტრი ჯაიანს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი წერილი და დიდ მეცნიერებარს.

ჩემი წინადაღება მსოფლიოს ქვეყნებში — პოლანდიში, შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვაგან გაფანტული აფხაზეთის მხატვრები მოგვინით და ამ გალერეაში მათი გამოფენები გავმართოთ.

სალოე თორილი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტროსთან არსებულ ვ. არქანიას არტ-გალერეაში ნორჩ-მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა-კონკურსის გაიმართა.

გამოფენა-კონკურსში ააიდ ქ. თბილისში მერიის ხელოვნების სამინისტრო სეოლის — „აფხაზეთი ქაიანმა საჩუქრად შსოფლიო ბესტსელერად აღიარებული წიგნი - ერთსტ გომბრინის „ხელოვნების ამბავი“ გადასცა.

უკურის წევრთა მონონება და დამსახურება ასევე ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა, რისოვსაც არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ და დიმიტრი ჯაიანს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი წერილი და დიდ მეცნიერებარს.

ჩემი წინადაღება მსოფლიოს ქვეყნებში — პოლანდიში, შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვაგან გაფანტული აფხაზეთის მხატვრები მოგვინით და ამ გალერეაში მათი გამოფენები გავმართოთ.

უკურის წევრთა მონონება და დამსახურება ასევე ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა, რისოვსაც არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ და დიმიტრი ჯაიანს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი წერილი და დიდ მეცნიერებარს.

ჩემი წინადაღება მსოფლიოს ქვეყნებში — პოლანდიში, შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვაგან გაფანტული აფხაზეთის მხატვრები მოგვინით და ამ გალერეაში მათი გამოფენები გავმართოთ.

უკურის წევრთა მონონება და დამსახურება ასევე ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა, რისოვსაც არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ და დიმიტრი ჯაიანს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი წერილი და დიდ მეცნიერებარს.

ჩემი წინადაღება მსოფლიოს ქვეყნებში — პოლანდიში, შვეიცარიაში, ამერიკაში და სხვაგან გაფანტული აფხაზეთის მხატვრები მოგვინით და ამ გალერეაში მათი გამოფენები გავმართოთ.

უკურის წევრთა მონონება და დამსახურება ასევე ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა, რისოვსაც არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ და დიმიტრი ჯაიანს, აფხაზეთის განათლებისა და კ